2024 წელს ბათუმის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავლმა შეადგინა 70.1 მილიონი ლარი, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13%-ით აღემატება. ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ძირითადი ნაწილი (86%) სამორინეებიდან არის მიღებული, სათამაშო ბიზნესის სხვა ტიპის სუბიექტებზე მოსაკრებლების მხოლოდ 14% მოდის.

ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2018-2024 წწ.)



2024 წელს აჭარაში, კერძოდ ქალაქ ბათუმში, ფუნქციონირებდა 14 სამორინე. აღნიშნული სამორინეების მიერ ბათუმის ბიუჯეტში გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 60.5 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14%ით აღემატება.

ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დინამიკა (2018-2024 წწ.)



ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2024 წ.)



2024 წლისათვის სამორინეებში სათამაშო მაგიდების რაოდენობა იყო 197, ხოლო სათამაშო აპარატების - 1 380.

სათამაშო მაგიდებისა და აპარატების რაოდენობა სამორინეებში (2018-2024 წწ.)



გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტისა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჩარიცხვა ხდება ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში. 2024 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში ჩარიცხულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 2.3 მლნ ლარი.

2024 წელს აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში რეგიონში მოქმედი სამორინეების მიერ გადახდილმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 63.3 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 120%-ით აღემატება.

აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში სამორინეების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი
(2018– 2024 წწ.)



2024 წელს აჭარაში მოქმედ სამორინეებში ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 886,115 შეადგინა. ვიზიტორთა 93%-ს არარეზიდენტი ვიზიტორები წარმოადგენდნენ.

სამორინეებში ვიზიტორთა რაოდენობა
(2024 წ.)



2024 წელს სამორინეებში დასაქმებული იყო 5 000-მდე ადამიანი.